პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 5 დეკემბერი, 1949 წ. № 240 (8543). ფასი 20 კაპ.

— დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელები ზეიმობენ სტალინური კონსტიტუციის მიღების მეცამეტე წლისთავს. განვლილი წლების მანძილზე საბჭოთა ხალხმა სტალინური კონსტიტუციის დროშით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ბრძენი ბელადის დიდი სტალინის წინამძღოლობით მსოფლიოს ისტორიაში გამარჯვებანი მოიპოვა და ახლა წარმატებით აშენებს სრულ კომუნისტურ საზოგადოებას.

გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს ჩვენი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს!

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

საბჭოების სრულიად საკავშირო საბანგებო VIII ყრილობის ტრიბუნაზე

ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღვნიშნოთ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავი

მეორთქლმავლეთა ვალდებულებანი

დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 70 წლისთავის ღირსშესანიშნავ თარიღს თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ახალი შრომითი აღმავლობით აღნიშნავს. მეორთქლმავლეებმა კომბინატ „ტულაუგოლის“ მეშახტეთა მსგავსად გადაწყვიტეს გადასინჯონ სოციალისტური შეჯიბრებით წინათ ნაკისრი ვალდებულებანი.

საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა 1 ნოემბერს შეასრულა წლიური დავალება. აწევითი შეკეთების საამქროს, რომელსაც დ. კვარაცხელია ხელმძღვანელობს, მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის რკინიგზებს შორის. გარეცხვითი შეკეთების საამქროს მესამე კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი შ. წამალაშვილი ხელმძღვანელობს, ორთქლმავლების სარემონტოდ დგომის დრო 17 საათის ნაცვლად 15,5 საათამდე დაიყვანა. ამ წარმატებისათვის ბრიგადა ათი თვეა ინარჩუნებს პირველობას.

გუშინ საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი სახელდახელო მიტინგზე შეიკრიბა.

დეპოს უფროსმა ამხ. გ. წერეთელმა განაცხადა: 21 დეკემბერს 70 წელი უსრულდება საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალურ ბელადს ამხანაგ სტალინს. ამ დიდმნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად მთელ ჩვენს სამშობლოში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენ ამ შეჯიბრებაში მოწინავენი უნდა ვიყოთ. საბჭოთა რკინიგზელებისადმი ამხანაგ სტალინის დაუღალავი მზრუნველობის პასუხად ვიკისროთ ახალი სოციალისტური ვალდებულებანი და ვიბრძოლოთ მათი წარმატებით შესრულებისათვის.

დეპოს კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა ამხ. წერეთლის წინადადება. მემანქანეებმა ა. ლომსაძემ, ვ. ჩომახიძემ, ი. ხუროშვილმა, გ. კასრაძემ ვალდებულება იკისრეს ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენა აიყვანონ 500 კილომეტრამდე, მომჭირნეობით ხარჯონ საწვავი, საუკეთესოდ მოუარონ ორთქლმავლებს, იმუშაონ უწუნოდ და უავარიოდ.

მთლიანად საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა დაიცალა აწევითი და საშუალო შეკეთებიდან წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას ხუთი ორთქლმავალი; ორთქლმავლის საშუალო შეკეთება 7 დღე-ღამის ნაცვლად 6 დღე-ღამეში შეასრულონ, ხოლო აწევითი შეკეთების დრო 96 საათის ნაცვლად შეამცირონ 90 საათამდე; გარეცხვითი შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვან 10 ორთქლმავალი; შეკეთებაში დგომის დრო შეამცირონ ერთი საათით; დეკემბერში გაატარონ 10 მძიმეწონიანი მატარებელი, დაზოგონ 5 პროცენტი საწვავი, ორთქლმავლების ტექნიკური სიჩქარე გაადიდონ ერთიდან 3 კილომეტრამდე, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 10 პროცენტით.

ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად

სტალინური კონსტიტუციის დღიადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის წისქვილკომბინატის კოლექტივმა სერიოზული წარმატება მოიპოვა — ვადაზე ერთი თვით ადრე—1 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა, ხოლო ნოემბერში საგეგმო დავალებას 7,5 პროცენტით გადაჭარბა.

11 თვის მუშაობის შედეგების შესაჯამებლად მოწვეულ კრებაზე კომბინატის დირექტორმა ამხ. დ. გოგიჩაძემ გააცნო მუშებს მოპოვებული წარმატება და მოუწოდა, რომ საბჭოთა ხალხის გენიალური ბელადის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავს, რომელიც 21 დეკემბერს სრულდება, კომბინატის კოლექტივი უფრო მეტი წარმატებით შეხვდეს.

— საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია ამხანაგი სტალინი, — ამბობს სტახანოველი ხარატი ა. ზაუტაშვილი, — იგი მრავალი ათეული წლის განმავლობაში ენერგიის დაუზოგავად მოღვაწეობს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის. დიდი სტალინის მზრუნველობას ჩვენ ვუპასუხებთ ახალ წარმატებათა მოპოვებით. პირადად მე ვკისრულობ დიდი სტალინის დაბადების დღის—21 დეკემბრისათვის 150 პროცენტით შევასრულო დეკემბრის გეგმა.

ბრიგადირმა ა. პოგოდინმა, სტახანოველმა ო. ზელენკოვამ, კომბინატის თავმჯდომარემ მექანიკოსმა ვ. ფადავამ და მექანიკური საამქროს უფროსმა პ. ვნიპამ თავიანთ სიტყვებში ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვეს ხალხთა ბელადს და პირობა დადეს, რომ გაიორკეცებენ ენერგიას ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

კომბინატის კოლექტივმა იკისრა 21 დეკემბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას რამდენიმე ათასი ტონა მზა პროდუქცია და ამით უზრუნველყოს ხუთწლიანი გეგმის მიმდინარე წელს შესრულება, გაადიდოს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება და ზეგეგმითი დაგროვება.

მექელმავლეთა მიჯინგზე

უმაგალითო შრომითი აღმავლობაა თბილისის საელმავლო დეპოში. გუშინ, 4 დეკემბერს, აქ შედგა ინჟინერ-ტექნიკოსების, სტახანოველებისა და მოწინავე მემანქანეების მიტინგი, მიძღვნილი დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადების საკითხისადმი. დეპოელებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნონ ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ღირსშესანიშნავი თარიღი—21 დეკემბერი — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების დღე.

— მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, — თქვა კრებაზე საელმავლო დეპოს უფროსის მოადგილემ ამხ. ი. ზარეკიძემ,—საქართველოს მშრომელები უდიდესი სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის დაბადების დღეს. დეპოს კოლექტივის თვითეული წევრი თავის პატრიოტული ღირსების საქმედ ჩათვლის ეს დღე აღნიშნოს ახალი საწარმოო მიღწევებით.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს ლუნინელმა მემანქანეებმა ო. დანგაძემ, ს. გოგოლაძემ, მ. ხიზანაშვილმა და სხვ.

მიტინგზე ერთხმად მიღებული რეზოლუციით დეპოს კოლექტივმა იკისრა 21 დეკემბრისათვის შეასრულოს ელექტრომავლების შეკეთების წლიური გეგმა, მოამზადოს საწარმო 1950 წელს უფრო მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის და 21 დეკემბრისათვის უზრუნველყოს ათასობით, ტონა სახელმწიფო ტვირთის გადაზიდვა გეგმის გადამეტებით.

სტალინური კონსტიტუციის დიადი დროშით

დღეს საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს სტალინური კონსტიტუციის დღეს.

13 წლის წინათ, 1936 წლის 5 დეკემბერს, საბჭოების სრულიად საკავშირო VIII საგანგებო ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა და მიიღო სსრ კავშირის კონსტიტუცია — საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

საბჭოთა ხალხმა თავის კონსტიტუციას სამართლიანად უწოდა სტალინური კონსტიტუცია, რადგან მისი ავტორი, მისი შემოქმედი ა დიდი სტალინი — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი.

სტალინური კონსტიტუცია „წარმოადგენს იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც საქმით უკვე მიღწეული და მოპოვებულია“ (ი. სტალინი). საბჭოთა კონსტიტუცია ეყრდნობა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის გამარჯვების ფაქტს. იგი ეყრდნობა სოციალიზმის ძირითად პრინციპებს, რომლებიც უკვე მოპოვებული და განხორციელებულია. ჩვენი კონსტიტუცია ასახავს სოციალიზმის ისეთ უდიდეს მონაპოვრებს, როგორიცაა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა ქვეყნის ერების სრული თანასწორუფლებიანობა, ხალხთა ურღვევი მეგობრობა და ძმური ურთიერთდახმარება.

ჩვენი კონსტიტუციის თვითეული მუხლი, თვითეული სიტყვა საბჭოთა დემოკრატიის ჭეშმარიტად ხალხური ხასიათის განსახიერებაა. სტალინური კონსტიტუცია საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავს, მის სასიცოცხლო ინტერესებს ახორციელებს. თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს აქვს შრომის უფლება, სწავლის უფლება, დასვენების უფლება, მოხუცებულობაში ან შრომისუნაროობის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. ჩვენი კონსტიტუცია აღიარებს სიტყვის, კრების, პრესის, დემონსტრაციის, სინდისის თავისუფლებას. სტალინური კონსტიტუციის სიდიადე ის არის, რომ იგი კი არ სჯერდება მოქალაქეთა საარსებო უფლებების, დემოკრატიულ თავისუფლებათა გამოცხადებას, არამედ მთავარ საქმედ აღიარებს მათს გარანტირებას, მათს პრაქტიკულად განხორციელებას.

ბურჟუაზიული სახელმწიფოების კონსტიტუციებში ბევრია მაღალფარდოვანი, ლამაზ-ლამაზი სიტყვები ადამიანთა უფლებების შესახებ, მაგრამ ეს „უფლებები“ ყოველთვის ქაღალდზე რჩებოდა და რჩება. ბურჟუაზიული კონსტიტუცია კლასობრივი ბატონობის იარაღია, იგი ერთი მუჭა კაპიტალისტების ნებას გამოხატავს და სავსებით უგულებელყოფს მილიონობით მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს. მართლაც, რა ადამიანურ უფლებებსა და დემოკრატიზმზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც კაპიტალისტები, რომელნიც საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ, ფლობენ მთელ საზოგადოებრივ სიმდიდრეს, ხოლო მილიონობით მშრომელი ადამიანი შიმშილით სიკვდილისათვის არის განწირული, სადაც კანონი იცავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, სადაც ერთი ერის მიერ მეორე ერის ჩაგვრა ბუნებრივ მოვლენად მიაჩნიათ?

13 წლის წინათ დიდი სტალინი თავის ისტორიულ მოხსენებაში საბჭოების ყრილობაზე ამბობდა:

„ახლა, როცა ფაშიზმის მოვრიე ტალღები ბილწავს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალახში სვრის ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალდებო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, აქტი, რომელიც იმას მოწმობს, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან“.

განვლილმა პერიოდმა სავსებით დაადასტურა ამხანაგ სტალინის გენიალური წინასწარმეტყველება. ამ წლებმა ერთხელ კიდევ განსაკუთრებული სიცხადით დაანახვეს მთელ კაცობრიობას, რომ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე მაღალი, ყველაზე სრულყოფილი ფორმაა. ჩვენი სოციალისტური წყობილების ცხოველმყოფელობა, მისი ძალა და უპირატესობანი ნათლად გამოვლინდნენ როგორც დიდი სამამულო ომის დროს, ისე ომისშემდგომი ნშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში. განვლილმა წლებმა ამავე დროს ნათლად უჩვენეს მთელი მსოფლიოს მშრომელებს ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ გაკოტრება. ამერიკელი მილიარდერები და მათი ერთგული ლაქიები, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე გაჰყვირიან „ამერიკული დემოკრატიის მშვენიერებათა“ შესახებ, საშუალო საუკუნეობრივი სისასტიკით დევნიან პროგრესულ ადამიანებს, ცდილობენ ძირშივე ჩაახშონ თავისუფალი აზრი.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი სოციალიზმისთვის ბრძოლაში, ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვება, კომუნისტური და მუშათა პარტიების რიგების ზრდა და განმტკიცება, ყველა ქვეყნის მშრომელთა სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი, მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგების სწრაფი ზრდა, — ყოველივე ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან. ამას კარგად ხედავენ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც ღვარძლით ივსებიან და უფრო და უფრო ცოფდებიან. ამერიკელი იმპერიალისტები და მათი დამქაშები ახალი ომის საშუალებით ფიქრობენ დაღუპვისაგან იხსნან მონოპოლისტური კაპიტალი, დაძლიონ მოახლოებული კრიზისი, მიაღწიონ მთელ მსოფლიოზე ბატონობას, რისთვისაც ისინი სხვადასხვა სამხედრო კავშირებსა და ბლოკებს ქმნიან. მაგრამ ომის გამჩაღებელთა ზრახვებს განხორციელება არ უწერიათ. სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას მშვიდობის საიმედო ბურჯი — სსრ კავშირი და რომელიც დღითიდღე იზრდება და მტკიცდება, საშუალებას არ მისცემს ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს უკუღმა მოაბრუნონ ისტორიის განვითარების ჩარხი, განახორციელონ მსოფლიოზე ბატონობის თავიანთი სულელური გეგმა.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის დაუღალავად იბრძოდა და იბრძვის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თავისუფლებისათვის. ჩვენს ხალხს ომი არ უნდა, მაგრამ იგი ამავე დროს მზად არის გამანადგურებელი პასუხი გასცეს ყველა მათ, ვინც გაბედავს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მახვილის აღმართვას.

საბჭოთა კონსტიტუცია, ანიჭებს რა საბჭოთა ადამიანებს დიად გარანტირებულ უფლებებს, ამავე დროს მათ აკისრებს დიდ მოვალეობას. საბჭოთა ადამიანი ვალდებულია მტკიცედ დაიცვას კანონი და შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივი სცეს სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, თვალისჩინივით გაუფრთხილდეს სოციალისტურ საკუთრებას, ერთგულად დაიცვას მტრებისაგან თავისი სოციალისტური სამშობლო. საბჭოთა ადამიანები, რომელთაც საბჭოთა სოციალისტურმა დემოკრატიამ შემოქმედებითი შრომის, თავიანთი ნიჭისა და უნარის გამოყენების ფართო ასპარეზი გადაუშალა, ყოველთვის მტკიცედ ახორციელებდნენ კონსტიტუციით დაკისრებულ მოვალეობებს.

სოციალისტური კონსტიტუციის დროშით დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით დიდ სამამულო ომში გაანადგურა გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები, დაიცვა თავისი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და კაცობრიობა იხსნა ფაშისტური მონობისაგან.

დღეს სტალინური კონსტიტუცია საბჭოთა ადამიანებს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე მამაცობისა და გმირობისათვის აღაფრთოვანებს. საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიისა და ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძვის მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. საბჭოთა ადამიანების მგზნებარე პატრიოტიზმი ამჟამად თავის ცხოველმყოფელ გამოხატულებას პოულობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლით. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მამაცურმა შრომამ, მათმა დაუშრეტელმა ენერგიამ და ინიციატივამ უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი აყვავება, ხუთწლედის განვლილი პერიოდის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება, მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი აღმავლობა. ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ ბევრად გადააჭარბა ომამდელ 1940 წლის დონეს, ასევე სოფლის მეურნეობამ უფრო მეტი მარცვლეული მოგვცა, ვიდრე 1940 წელს. დიდი წარმატებანია მოპოვებული მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი წარმატებებით აღნიშნავენ სტალინური კონსტიტუციის დღეს. ბედნიერი ქართველი ხალხი მთელ თავის ძალას, ცოდნასა და უნარს დაუზოგავად ახმარს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს. გადაჭარბებით სრულდება ხუთწლედის დავალებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განუხრელად ვითარდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, აღმავლობას განიცდის ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება.

საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე ამაყად ფრიალებს სტალინური კონსტიტუციის დიადი დროშა, რომელიც კანონიერი სიამაყის გრძნობით აღავსებს ჩვენი ადამიანების გულს. სტალინური კონსტიტუციის დროშით საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიემართება წინ, კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

დიდება საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედს, ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს!

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მერვე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა ქართულ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მერვე ტომი.

ტომი დასაბეჭდად მომზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მერვე ტომი შეიცავს 1926 წლის იანვრიდან ნოემბრამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

1926 წელი იყო პირველი წელი ბოლშევიკური პარტიის გაშლილი ბრძოლისა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული გენერალური გეზის განხორციელებისათვის.

ნაშრომებში „ლენინიზმის საკითხებისათვის“ და „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და პარტიის პოლიტიკის შესახებ“ ი. ბ. სტალინი ამხილებს ლენინიზმის საფუძვლების მტრულ დამახინჯებას ზინოვიევ-კამენევის ჯგუფის მიერ, იცავს საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, აამაკრავებს „ახალი ოპოზიციის“ ცდებს — დაეავადებინა პარტია სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების საქმისადმი ურწმენობით.

მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე „სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში“ და მოხსენების გამო წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში ი. ბ. სტალინი იცავს ბოლშევიკური პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ერთიანობას და ამხილებს ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის კაპიტულანტურ იდეოლოგიასა და ძირგამომთხრელ გამთიშველ მუშაობას.

ი. ბ. სტალინის ამ ნაწარმოებებში განვითარებულია ლენინური მოძღვრება ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, დასაბუთებულია სსრ კავშირში კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობა, აუცილებლობა და საერთაშორისო მნიშვნელობა; დასახულია პარტიის პრაქტიკული ამოცანები სოციალისტური მშენებლობის დარგში, განსაზღვრულია პარტიის მიერ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაზე აღებული გენერალური გეზის გატარების კონკრეტული გზები და მეთოდები.

ნაწარმოებებში: „ინგლისში მომხდარი გაფიცვისა და პოლონეთის ამბების შესახებ“, „ინგლის-რუსეთის ერთიანობის კომიტეტის შესახებ“, „მემარჯვენე და „ულტრამემარცხენე“ გადახრებთან ბრძოლის შესახებ“, „სიტყვა კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის გერმანიის კომისიაზე“ და სხვა ნაშრომებში ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს მტკიცე და თანმიმდევრული ბრძოლის აუცილებლობას მუშათა კლასის ერთიანობისათვის, იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ, ახალი იმპერიალისტური ომების საფრთხის წინააღმდეგ; ამხილებს დრომოჭმულ მოძრაობაზე გადახტომის ტროცკისტულ ავანტიურისტულ თეორიას, აღნიშნავს უცხოეთის კომუნისტურ პარტიებში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ იდეური და ორგანიზაციული ბრძოლის გზებსა და მეთოდებს.

სიტყვაში „ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივების შესახებ“ ი. ბ. სტალინი ამუქებს ჩინეთის რევოლუციის თავისებურებებს, მის ხასიათსა და მიმართულებას.

მერვე ტომში შედის პირველად გამოქვეყნებული დოკუმენტები: „გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის შესახებ“, „ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ“, „სიტყვა კომინტერნის აღმასკომის VI გაფართოებული პლენუმის საფრანგეთის კომისიაში“, სიტყვა „ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ“, „წერილი სლეპკოვს“, „შინაპარტიული ბრძოლის შენელების ოინისძიებათა შესახებ“, ი. ბ. სტალინის წერილი „ამერიკის მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს „დეილი უორკერის“ რედაქციისადმი“. მთლიანად ქვეყნდება ი. ბ. სტალინის წერილი „ამხ. კაგანოვიჩს და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრებს“.

წიგნის ტირაჟია 35 ათასი ეგზემპლარი. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური კონსტიტუციის დროშით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

★ ★ ★ ★

განახლებულ ხევსურეთში

სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელმა მზემ გაათბო, სიცოცხლით აღავსო კავკასიონის ჭაღარა მთებში მცხოვრებნიც. სხვა მრავალ უფლებასთან ერთად, სტალინური კონსტიტუციით ხევსურებმა განათლების უფლებაც მიიღეს. ისინი ხარბად ეწაფებიან სწავლას. ყოველ დილით, როცა მტრედისფრად შეიღებება ცისკიდური და მზის სხივები გაანათებს მთებსა და ხევებს, ხევსურეთის სოფლებში გაისმის სკოლის ზარის ხმა. ის სწავლისაკენ მოუწოდებს გოგონებსა და ვაჟებს. ხევსურეთში ახლა თექვსმეტი დაწყებითი სკოლაა, სადაც მრავალი ასეული ბავშვი სწავლობს.

კულტურის ფართო გზას დაადგა საუკუნეობით სიბნელეში მყოფი ხევსური ქალიც. არხოტელი ანა ოჩიაური ახლა მასწავლებელია, ლამარა ბალიაური — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, მაია სისაური—თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. მრავალი ხევსური გოგონა ეუფლება ცოდნას დაწყებითსა და სამუალო სკოლებში.

ხევსურეთში არის მრავალი ქოხ-სამკითხველო, საექიმო პუნქტი. ხევსურნი კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, უსმენენ რადიოს, მსჯელობენ ჩვენი სამშობლოს საშინაო და საერთაშორისო საკითხებზე.

ბარისახო. ტყუილად კი არ შეარქვეს მას „ხევსურთა ქალაქი“. იგი მდებარეობს მაღალი მთების შუაში, ხევსურეთის არაგვის ნაპირას. აქ არის საავადმყოფო, სასტუმრო, ფოსტა, მაღაზია, ჰიდროელექტროსადგური, რადიოკვანძი. ბარისახო რაიონულ ცენტრთან — დუშეთთან დაკავშირებულია მშვენიერი საავტომობილო გზით. სოფლის ცენტრში აღმართულია საშუალო სკოლა-ინტერნატის ლამაზი შენობა, სადაც სახელმწიფო ხარჯზე 120 ხევსური ბავშვი სწავლობს. აქ არიან არხოტიდან, ამღიდან, შატილიდან, ბაცალიგოდან და სხვა შორეული სოფლებიდან ჩამოსული ყმაწვილები. ისინი უზრუნველყოფილი არიან ბინით, კვებით, ტანსაცმლითა და სასწავლო ნივთებით. უნდა ნახოთ, რა გულმოდგინედ სწავლობენ პატარები. მათი უმრავლესობა ხუთოსანია.

ბარისახოს საშუალო სკოლა უკვე თხუთმეტი წელია არსებობს. მან მრავალი ახალგაზრდა აღზარდა, რომლებიც ახლა წარმატებით მუშაობენ ხევსურეთის შემდგომი წინსვლისა და აყვავებისათვის. აქ მიიღეს განათლება იურისტმა გელა ლიქოკელმა, ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ზაქრო ლიქოკელმა, შატილისა და ბარისახოს სასოფლო საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარეებმა — ალექსი ჭინჭარაულმა და ადადა არაბულმა.

ხევსურეთს ახლა ჰყავს საკუთარი ინტელიგენცია, რომელიც ხელს უწყობს საუკუნეობრივი მავნე ტრადიციების ნაშთების აღმოფხვრას და ახლის ძლევამოსილ წინსვლას. აღარ არის ძველი მიყრუებული ხევსურეთი. სამაგიეროდ არის ახალი, განახლებული ხევსურეთი, რომელიც სტალინური კონსტიტუციის დროშით მიდის წინ, უკეთესი მომავლისაკენ.

ხევსურეთი ხალხური პოეზიის ქვეყანაა. აქაურები ძველად თავის ჭირვარამს ლექსებით გამოხატავდნენ. ლექსებითვე გამოხატავენ ახლაც ისინი თავიანთ დიდ სიხარულსა და გულწრფელ მადლობას სტალინური კონსტიტუციის შემოქმედისადმი, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

აი, რას მღერის სტალინურ კონსტიტუციაზე საღამოობით ბარისახოელი ხეთისო არაბული ელექტრონით განათებულ სახლში:

წიგნო, წიგნების შუქურავ,
სხივგადაშლილო ცისკარო,
აყვავებულო ბაღნარო,
მშვენიერო და მზის დარო!
საბჭოთა ქვეყნის ჩუქურთმავ,
ყოველ კუთხეში მიმწვდარო,
მშრომელი ხალხის გულებთან
ბელადის აზრის მიმტანო!
მიდიხართ კომუნიზმისკენ
შენნი სხივებით გამთბარი,
გზას მიგვინათებს ჩვენი მზე,
ჩვენი მამა და სარდალი.

ა. თოდუაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მეშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის საგუშაგოზე

საბჭოთა არმიის ჯარისკაცი შოთა ალექსანდრეს-ძე ბეიტრიშვილი ერთი იმ მრავალთაგანია, რომლებიც მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების რიგებში ერთგული და უმწიკვლო სამსახურით წმიდად ასრულებენ თავიანთ საპატიო მოქალაქეობრივ მოვალეობას, ფხიზლად დგანან მშრომელთა მშვიდობიანი შრომის საგარაჯოზე.

კომკავშირელი შ. ბეიტრიშვილი საბჭოთა არმიის რიგებში აყვავებული, დოვლათითა და ბარაქით სავსე სოციალისტური სოფლიდან მოვიდა და თან მოიტანა საბჭოთა მოქალაქის მაღალი ღირსება და სახელი. არმიაში მოსვლამდე ის ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდა. რგოლმა, რომელსაც ბეიტრიშვილი ხელმძღვანელობდა, 3,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 29 ცენტნერი „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო მოიყვანა. ამიტომაც ახალგაზრდა კოლმეურნეს დიდმა სამშობლომ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიანიჭა. ასე აამაღლა ადამიანი სტალინურმა კონსტიტუციამ, ასე გახადა იგი საქვეყნოდ ცნობილი.

ახლა ჩვენი დიადი ქვეყნის ამ გამოჩენილ ადამიანს მტკიცედ უპყრია ხელში პირველხარისხოვანი საბჭოთა იარაღი. საბჭოთა ჯარისკაცის საპატიო სამხრეებით, ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი შრომის გმირი იცავს თავის თანამოძმეთა შემოქმედებითს საქმიანობას, განასახიერებს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე ბურჯად მდგომი საბჭოთა ხალხის მისწრაფებებს.

შრომის გმირი არმიაშიც კვლავ იზრდება, იწრთობა იდეურად და პოლიტიკურად. აი რას ამბობს იგი:

— საბჭოთა არმიაში მე ვგრძნობ ჩემს ზრდას, რაც მშობლიურ კოლმეურნეობაში დაიწყო. მე აქაც ისევე მზრდის სამშობლო, როგორც საკოლმეურნეო მინდვრებზე მზრდიდა. ვამაყობ არტილერისტის საპატიო პროფესიით და ვიბრძვი იმისათვის, რომ სანიმუშო მეომარი ვიყო.

მემიზნის პროფესიას ჩინებულად დაეუფლა კომკავშირელი შოთა ბეიტრიშვილი. ამით იგი ერთი წუთითაც არ კმაყოფილდება, განუხრელად იმაღლებს მხედრულ გაწვრთნილობას, ეხმარება თავის ამხანაგებსაც.

საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი, სოციალისტური შრომის გმირი შ. ბეიტრიშვილი ახლა იმაზე ფიქრობს, რომ საბჭოთა არმიის ოფიცერი გახდეს. ამ სურვილის განხორციელებისათვის მას აღაფრთოვანებენ სტალინური კონსტიტუციის მანათობელი სხივები.

პ. შამათავა

მე მოვუსმინე დიდ სტალინს

საქართველოს მშრომელებმა დიდი პატივი დამდეს: 1936 წელს დელეგატად წარგზავნეს საბჭოების სრულიად საკავშირო VIII საგანგებო ყრილობაზე. წილად მხვდა ბედნიერება ამ ყრილობაზე მომესმინა ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ და მონაწილეობა მიმეღო სტალინური კონსტიტუციის დამტკიცებაში.

არასოდეს არ დამავიწყდება ის, თუ როგორ მკაფიოდ, გასაგებად გვიხსნიდა ბრძენი ბელადი ჩვენი კონსტიტუციის თავისებურებებს, ჩვენი წარმატებების მნიშვნელობას, როგორ მწარედ დასცინოდა იგი ჩვენი კონსტიტუციის ბურჟუაზიულ კრიტიკოსებს. გული განსაკუთრებული სიხარულით ამევსო, როდესაც დიდმა სტალინმა განაცხადა: „საბჭოთა გლეხობა — ეს სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ არ სცოდნია“.

მართლაც, რა იყო ჩვენი ცხოვრება წინათ? ტანჯვა, უუფლებობა, სიდუხჭირე. რამდენი ბრძოლა, რამდენი წინააღმდეგობის დაძლევა დაგვჭირდა, რომ მოგვეპოვებინა თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება, წელში გავმართულიყავით.

ჩემი ოჯახი ჯერ კიდევ 1922 წელს გაერთიანდა მუკუზნის სასოფლო-სამეურნეო არტელში. ეს არტელი ჩემი ქმრის — ლადო ჩიგიტაშვილის ინიციატივით დაარსდა; არტელები მაშინ თითო-ოროლა იყო. 1928 წელს კულაკებმა ვერაგულად მოკლეს ჩემი ქმარი. კულაკები ფიქრობდნენ მისი სიკვდილით დაეშინებინათ გლეხობა, ხელი შეეშალათ ჩვენს სოფელში საკოლმეურნეო ცხოვრების დამყარებისათვის. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ლადოს მიერ დაწყებული საქმე წლების მანძილზე შეუპოვარი შრომით და ბრძოლით ბრწყინვალედ დავაგვირგვინეთ.

ჩვენი ბედნიერი მომავლის რწმენამ, მშრომელთა კეთილდღეობის ასამაღლებლად პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურმა ზრუნვამ გამიორკეცა ენერგია. ცალკე ოჯახს ვუვლიდი და ცალკე საკოლმეურნეო მინდვრებზე ვმუშაობდი. მრავალი ჯილდო დავიმსახურე თავდადებული შრომისათვის. დიდი განსაცდელის ჟამს, სამამულო ომის დაწყების დღეებში, როდესაც ჩვენი სოფლის მამაკაცთა დიდი უმრავლესობა ფრონტზე გაიწვიეს, მე თანასოფლელებმა მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხის გაერთიანების“ თავმჯდომარედ ამირჩიეს. 1942 წელს ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის მთავრობამ დამაჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

1945 წლიდან ვარ მშრომელთა დეპუტატების მუკუზნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და კომუნისტი აქტიურ მონაწილეობას ვიღებ სოფლისა და რაიონის პარტიულ-საბჭოთა და საზოგადოებრივ მუშაობაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, სტალინურმა კონსტიტუციამ უზრუნველყვეს საბჭოთა სოფლის, კერძოდ ჩვენი სოფლის მცხოვრებთა ეკონომიური და კულტურული წინსვლა. ამჟამად ჩვენს სოფელს აქვს 8-წლიანი საშუალო სკოლა. მთელი სოფელი ელექტრონითაა განათებული და რადიოფიცირებულია. საგრძნობლად გადიდდა შრომადღის ანაზღაურება, გვყავს სამი სოციალისტური შრომის გმირი, მრავალი ორდენოსანი და მედალოსანი, თვალსაჩინო ნაბიჯებია გადადგმული სოფლის კეთილმოწყობისათვის.

საბჭოთა ადამიანებისათვის სტალინურმა ზრუნვამ ჩემი ოჯახიც ბედნიერი გახადა. ოთხ შვილში ორი უმაღლესი განათლებითაა, ხოლო ორი მალე დაამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს. ერთი ქალიშვილი — ელენე რკინიგზის ინჟინერია. იგი რამდენიმე წელი მონაწილეობდა მომმე ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რკინიგზის სამშენებლო სამუშაოებში. ამჟამად იგი გურჯაანში მუშაობს ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზით.

ბედნიერი ცხოვრება ჩვენ დაგვიმკვიდრა საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის პარტიამ, დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა. არ დავზოგავთ ძალებს, რათა წარმატებით შევასრულოთ პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის ყველა დავალება, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო, მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯი მთელ მსოფლიოში.

ოლღა ჩიგიტაშვილი
გურჯაანის რაიონის მუკუზნის სახოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ვითარდება კულტურა და მეცნიერება

საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში გაიფურჩქნა და აყვავდა ქართველი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მშრომელებისათვის მიუწვდომელი იყო არათუ უმაღლესი, საშუალო განათლებაც კი. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა წერა-კითხვაც არ იცოდა. დღეს კი არ არის სოფელი, რომ სკოლა არ ჰქონდეს.

განათლებული ადამიანებით, ინტელიგენციით ახლა მდიდარია არა მარტო ქალაქი, არამედ სოფელიც. მასწავლებლები, აგრონომები, ინჟინრები, მექანიკოსები, ექიმები და სხვა მრავალი პროფესიის განათლებული ადამიანები ჩვენი სოფლის სიამაყეს შეადგენენ.

ჩვენი ინტელიგენციის კადრების სამეფლოა უმაღლესი სასწავლებლები. მათ შორის არის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამჟამად უნივერსიტეტში ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 550 პროფესორ-მასწავლებელი. უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო სხვა უმაღლესი სასწავლებლების დაარსებას და დღეს გვაქვს 20 ინსტიტუტი, სადაც 24 ათასზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს.

30 წლის მანძილზე მარტო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა 15 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ. ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა რიცხვი კიდევ უფრო მეტია. საერთოდ საქართველოში ყოველ ათასი კაციდან 14 უმაღლესდამთავრებულია.

1941 წელს საქართველოში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც ამჟამად აქვს 42 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტებს ემსახურება 800-ზე მეტი მეცნიერმუშაკი. მეცნიერებათა აკადემია მეცნიერული აზროვნების ნამდვილ შტაბად გადაიქცა.

სტალინური კონსტიტუციით ყველა საბჭოთა მოქალაქეს აქვს შრომის, განათლებისა და დასვენების უფლება. საბჭოთა მოქალაქე ამ უფლებებს გონივრულად იყენებს. ამიტომაა, რომ ჩვენი სამშობლო პოლიტიკურად და ეკონომიურად მძლავრი გახდა.

ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. საბჭოთა ხალხი სტალინური კონსტიტუციის დროშით დიდი სტალინის წინამძღოლობით განუხრელად მიდის წინ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

ნ. კეცხოველი
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

მეგობრის ნაამბობი

დიდი შენობის ფლიგელში მოწყობილია სანატორიუმი. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის თავარ შესასვლელს რომ გასცდები, ამ შენობას ხელმარცხნივ დაინახავ. იქ ყოველთვის ისვენებენ კომბინატის მუშაკები წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. ეს იმას ნიშნავს, რომ სანატორიუმში მყოფი თავის ცვლაში მუშაობს ისევე, როგორც სხვები, ოღონდ დანარჩენ დროს სანატორიუმში ატარებს, მას განსაკუთრებული კვება და სათანადო მკურნალობა აქვს. საბოლოოდ გაჯანსაღების შემდეგ მუშას გამოწერენ სანატორიუმიდან.

შინაარსიანად, საინტერესოდ ატარებენ თავისუფალ დროს სანატორიუმში მყოფნი. აქ ზედმიწევნითი სისუფთავეა, მტკიცე წესრიგი, ყოველივე თავის დროზე კეთდება. ადამიანი აქ ისვენებს სულიერადაც და ფიზიკურადაც, გაჯანსაღებული უბრუნდება სამუშაოს.

მთავარ დასასვენებელ დარბაზში ლამაზად ამოქარგული ფარჩის პლაკატია სსრ კავშირის კონსტიტუციიდან ამონაწერი:

„მუხლი 119. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.

დასვენების უფლება უზრუნველყოფილია სამუშაო დღის შემცირებით მუშათა უდიდესი უმრავლესობისათვის 7 საათამდე, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ყოველწლიურ შვებულებათა დაწესებით და სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით, მშრომელთა მომსახურებისათვის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და კლუბების ფართო ქსელით“.

პლაკატის ირგვლივ კედელი დამშვენებულია საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების პორტრეტებით. კუთხეში თაიგულებია. დამსვენებლები ჭადრაკის დაფასთან ჩაფიქრებული სხედან. სხვები დილას მიღებულ გაზეთებს კითხულობენ.

— რას მოვესწარი ამ სიბერის დროს, მეც მიკვირს, — ამბობს მოხუცი დამსვენებელი იოსებ ციმაკურიძე — კომბინატის ეზოს მებაღე და ყვავილთა და მცენარეთა გამოცდილი მესაიდუმლე. — ჭაბუკობისას ბატონებისათვის ვმუშაობდი, მაშინ ვინ შემიშვებდა ასეთ შენობაში საცხოვრებლად. ჩვენმა დიდმა სტალინმა გვიხსნა უუფლებობისა და გაჭირვებისაგან, დაგვიმკვიდრა ბედნიერი ცხოვრება. „პერჩიკის“ ამბავი იცით?

— არა, არ ვიცი, ძია იოსებ! რა ამბავია ასეთი?

* * *

1942 წლის ზამთარში თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატთან არსებულ საბავშვო ბაღში მოიყვანეს 13 წლის გოგონა ოლღა თევდორეს ასული პილიპინა. დიდი სამამულო ომის დროს უდედმამოდ დარჩენილი ბავშვი თბილისში მოხვდა. თურმე საბრალოს ერთ დილას ამოუწყვიტეს გერმანელმა ბარბაროსებმა მშობლები და მახლობლები, ხოლო თვითონ შემთხვევით გადარჩა. უპატრონო ბავშვს თბილისში მშობლიური მზრუნველობით მოეკიდნენ, სკოლაში შეიყვანეს, შემდეგ საფაბრიკო-საქარხნო სკოლა დაამთავრებინეს და მქსოველობა ასწავლეს. მას შემდეგ იგი სატრიკოტაჟო კომბინატში მუშაობს.

ორი წლის შემდეგ, 1944 წელს იმავე კომბინატში მეორე უდედმამო ბავშვიც მოიყვანეს — 14 წლის ბიჭი პერი ასატუროვი. იგი მშობლებს ნოვოჩერკასკიდან მატარებლით მოჰყავდათ. მატარებელი დაძვრისთანავე ყუმბარებით დაამსხვრიეს ფაშისტებმა. მშობლები დაიხოცნენ, ხოლო როგორ გადარჩა ეს ბავშვი, არავინ უწყის. გამურული და გათხუპნილი ბიჭი თბილისში მოხვდა, იმავე კომბინატის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში.

სწავლის დამთავრების შემდეგ მანაც კომბინატში დაიწყო მუშაობა.

შარშან პერი ასატუროვი, რომელსაც პატარაობისას ზედმეტ სახელად შერქმეული „პერჩიკი“ ახლაც შერჩენილი აქვს, როგორც საუკეთესო მუშა სტახანოველი ორი კვირით გაგზავნეს ქარხნის სანატორიუმში.

აქ შეხვდა იგი ოლღა პილიპინას.

— დედ-მამა დამიხოცეს, სულ მარტოდ დავრჩი. აქ რომ მომიყვანეს...

— რა სამწუხარო ისტორიაა, დეიდა თამარ, რომ იცოდეთ, სულ ჩემ თავგადასავალს მაგონებს, — ეუბნებოდა სანატორიუმის დიასახლისს თამარ ყურაშვილს 18 წლის გოგონა ოლღა პილიპინა,—ვუსმენდი პერი ასატუროვს, ვუსმენდი და კინაღამ ავქვითინდი!

თამარ ყურაშვილმა, ყოფილმა მუშამ, ხანში შესულმა დიასახლისმა, ახალგაზრდების „გულისტკივილს“ ალღო აუღო, დაწყებულ „ინტრიგაში“ ოსტატურად ჩაერია, და ახალი ოჯახის შექმნის პერსპექტივა დაისახა.

რამდენიმე თვის შემდეგ კომბინატის მუშათა სახლში, ახალ ბინაზე ახალგაზრდებმა ქორწილი გადაიხადეს.

* * *

— განა ამ პატარა ამბავშიც არ მოჩანს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს სიდიადე, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მამობრივი მზრუნველობა ადამიანებისადმი? — დაასრულა იოსებმა.

მართალს ამბობდა მოხუცი მებაღე.

დ. ლომთაძე

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სანატორიუმში. დამსვენებლების ჯგუფი საერთო დარბაზში.

ფოტო რ. აკოფოვისა

განხორციელებული ოცნება

ბუმბერაზ მთებში მდებარე სოფელი ზემო როკა! უგზოობის გამო წინათ ის მოწყვეტილი იყო მთელ ქვეყნიერებას. უსიხარულოდ ძიდიოდა როკელთა ცხოვრება. დაჩაგრულ-დაბეჩავებული იყვნენ ისინი. ამ სოფლის ბევრი მკვიდრი სიცოცხლეს ისე გალევდა, რომ მშობლიურ მთებს გარდა წარმოდგენა არაფერზე ჰქონდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ იხსნა როკელები დუხჭირი ცხოვრებისაგან.

სტალინურმა კონსტიტუციამ სოფელ როკის მკვიდრთა ოცნებასაც შეასრულა ფრთები. როგორ არ აგვესება სიამაყით გული, როცა ამ სოფლის მკვიდრს, სახელოვან მთიელ ქალს მართა პლიევას წარმოიდგენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში!

მხოლოდ საბჭოთა წყობილებას შეეძლო გამოეცვლინებინა მთიელ ქალში თანამემამულეებისადმი სამსახურის ამდენი ენერგია. ოსი გლეხკაცი წინათ ბავშვის აღზრდის მეტს ვერაფერს ანდობდა ქალს. ახლა კი როკელებმა მთელი თავისი სოფლის წინამძღოლობა ანდეს მართას. ამ ნდობას იგი სასახელოდ ასრულებს. მან გამოიჩინა კოლმეურნეობის გაძღოლის კარგი უნარი.

ამ შორეულ მთის სოფელში ახლახან საავადმყოფოც გახსნეს. როკელთა ჯანმრთელობას დარაჯობენ მედიცინის მუშაკები. აქ მალე მოეწყობა სამშობიაროც. პატარა, მაგრამ ძლიერ მდინარეზე დაწყებულია საკოლმეურნეო ელექტროსადგურის მშენებლობა.

* * *

ბრწყინვალე სტალინური კანონით მონიჭებულმა უფლებებმა ბედნიერი და საამური გახადა საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, შესაძლებლობა მისცა მათ გამოავლინონ თავიანთი უნარი, ძალა და ნიჭი. ღირსეულად ფასდება მათი შრომა. ოლქში მრავალი მასწავლებელი სიყვარულით ემსახურება მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. მათგან რჩეულნი — დ. კიკნაძე, მ. ხარებოვა, ა. გაზაევა, მ. ქუძარიტოვი, ი. თედეევი უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით არიან დაჯილდოებული. სახალხო განათლებაზე მზარდი მზრუნველობა შეიძლება გამოვხატოთ ციფრებით: 1924 წელს სახალხო განათლებაზე დაიხარჯა ორმოციოდე ათასი მანეთი, მიმდინარე წელს კი იხარჯება ოცდაჩვიდმეტ მილიონ მანეთზე მეტი.

სკოლებს გარდა, მშრომელთა განათლების სამსახურშია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი. ოლქის მკვიდრთ უმაღლესი განათლების მიღება შეუძლიათ სტალინირშივე.

მოსაგონრად შერჩენია სამხრეთ ოსეთს, რომ აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მხოლოდ ერთი ფერშალი მუშაობდა. ახლა ასობით ექიმი და მედიცინის დარგის სხვა მუშაკი დგას მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში. ჯავაში აშენდა სანატორიუმი. სულ უფრო პოპულარული ხდება სამხრეთ ოსეთის კურორტები.

სტალინური კონსტიტუციის დღის — 5 დეკემბრისათვის მოწინავე საწარმოებმა და კოლმეურნეობებმა ახალი საჩუქრები მოუმზადეს დედა-სამშობლოს. ათეულ ათასობით ცალი აგური გამოუშვა წლიური გეგმის გადამეტებით სტალინირის აგურის ქარხანამ. გეგმების გადაჭარბებით შესრულებით ისახელეს თავი ვანათის სარწყავი არხის მშენებლებმაც. აქ ამ დღეებში იყვნენ ლენინგორელი კოლმეურნეები, რომლებმაც მამაცური შრომის, მაგალითები გვიჩვენეს. სტალინირის ხე-ტყის მრეწველობის მუშაკებმა ნოემბერში გეგმით გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი ხე-ტყე დაამზადეს და გამოზიდეს.

გადაჭარბებით არის შესრულებული ხეხილის ახალი ბაღების გაშენების მიმდინარე წლის დავალება. ბაღების ფართობი 87,2 ჰექტარით გაიზარდა. ახალი ვენახების გაშენების წლიური გეგმები წარმატებით შეასრულეს სტალინირის, ლენინგორის, ზნაურის რაიონებმა.

მოწინავე კოლმეურნეობებმა საშემოდგომო ჭურეული გეგმის გადამეტებით ათობით ჰექტარ ფართობზე დათესეს, საიმედო საფუძველი ჩაუყარეს მომავალი წლის მოსავალს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სტალინური კონსტიტუციის მზით გზაგანათებულ სამხრეთ ოსეთის ოლქის მშრომელთა სურვილია გააძლიერონ ბრძოლა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ამ წარმატებებისათვის ბრძოლაში მათ აღაფრთოვანებთ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონის დიადი იდეალები.

ვლ. გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. სუსლოვი

მშვიდობის დაცვა და ბრძოლა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ*

ამერიკისა და სხვა ქვეყნების რეაქციული პრესის ფურცლებზე ფართოდ ქადაგებენ ახალ ომს, და თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესიამ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომელიც გმობს ომის პროპაგანდას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველმა წრეებმა არა თუ არავითარი ზომები არ მიიღეს ომის გამჩაღებლებისა და მისი პროპაგანდისტების ასალაგმავად, არამედ პირიქით ამკარად აქეზებენ მათ. რეაქციული პრესისა და რადიოს მოსყიდულ მჯღაბნელებთან ერთად ახლა ომის მოწოდებით გამოდის მთელი პლეადა ოფიციალური სახელმწიფო მოღვაწეებისა, ტრუმენის მთავრობის წევრებისა, კონგრესმენებისა, გენერლებისა, ადმირალებისა, ინგლისელი ლორდებისა.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის წინ ფაშისტ აგრესორთა მსგავსად, ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური ბლოკი ახალ ომს ამზადებს ყველა მიმართულებით: სამხედრო-სტრატეგიულ ლონისძიებათა, პოლიტიკური ზეგავლენისა და შანტაჟის, ეკონომიური ექსპანსიისა და ხალხთა დამონების, მასების იდეოლოგიური გაბრუებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში რეაქციის გაძლიერების მიმართულებით.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები გამსჭვავული არიან სულელური იდეით—შეიარაღებული ხელით დაუმორჩილონ თავიანთ ბატონობას მთელი მსოფლიო, რისთვისაც კაცობრიობას ემუქრებიან ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტით. აი რატომ წარმოადგენს ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული, სამხედრო-პოლიტიკური შეთქმულება უდიდეს საფრთხეს მშვიდობის ბედისათვის, მილიონობით უბრალო ადამიანის სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის, ყველა ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ მონაპოვართათვის.

II. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალები იზრდებიან და მტკიცდებიან

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გამალებული აქტივობა, რასაც იმპერიალისტური ბანაკი იჩენს, მისი ძალის მაჩვენებელი, ომის თავიდან აცილების შეუძლებლობის მაჩვენებელი იყოს.

განვლილი ორი წელი იმპერიალიზმის ბანაკის შემდგომი შესუსტების, მისი ჯაჭვიდან ახალი რგოლების გამოვარდნის, მისი ყველა სამშინაო და საგარეო წინააღმდეგობის გამწვავების წლები იყო. ამასთან ერთად, ამავე პერიოდში განუხრელად იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალები. ამიტომ, მიუხედავად იმპერიალისტური ბანაკის მიერ ომის ასე ფართოდ მომზადებისა, ახლა მის გამჩაღებელთ გზას უღობავს მძლავრი, ყოველდღე მზარდი ბარიერი.

იმ დროს, როცა იმპერიალიზმის ბანაკი, რომელსაც სათავეში ამერიკის შეერთებული შტატები უდგანან, სამხედრო ავანტიურებისათვის ემზადება, ანტიიმპერიალისტური ბანაკი ახდენს თავისი ძალების კონსოლიდაციას იმისათვის, რომ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტ აგრესორებს, რომლებიც იარაღს აღარუნებენ, შეუპოვარ ბრძოლას ეწევა ახალი ომის გამჩაღებელთა იზოლაციისათვის და მათი საზარელი ზრახვების ჩაფუშვისათვის.

მშვიდობის დემოკრატიული ძალები განუზომლად უფრო სწრაფად იზრდებიან, ვიდრე ომის გამჩაღებელთა ბნელი ძალები. ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე ძირეულად შეიცვალა და იცვლება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის სასარგებლოდ.

ამ ბანაკის ზრდასა და განმტკიცებას მოწმობს, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომი გადიდება, რომელიც სათავეში უდგას ანტიიმპერიალისტურ ბანაკს, სათავეში უდგას მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლას. სამუდამოდ ჩაიფუშა იმპერიალისტური წრეების იმედი, რომ სსრ კავშირი, რომელმაც თავის მხრებზე გადალახა ომის ძირითადი სიმძიმე, თავს ვერ გაართმევდა იმ სიძნელეებს, რომლებიც გამოიწვია ომმა და საბჭოთა ტერიტორიის ნაწილზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა პარპაშმა.

საბჭოთა კავშირი განიცდის მძლავრ აღმავლობას სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. დაე დაუფიქრდნენ ბატონი იმპერიალისტები საბჭოთა ქვეყანაში გამოქვეყნებულ ცნობებს ომისშემდგომი ხუთწლედის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მიმდინარე წლის ოქტომბერში საბჭოთა მრეწველობის პროდუქციამ 50 პროცენტით და მეტით გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის საშუალო თვიურ გამოშვებას და გადააჭარბა წარმოების იმ საშუალო თვიურ დონეს, რომელიც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1950 წლისათვის.

იმ დროს, როცა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა წარმოადგენს სურათს მზარდი კრიზისისა და დაცემისას, რაც უფრო და უფრო ძლიერდება უზომო სამხედრო ხარჯების ზეგავლენით, საბჭოთა ეკონომიკა წლითი წლობით, ყოველთვიურად განუწყვეტლივ იზრდება. 1949 წლის 10 თვეში სამრეწველო წარმოების გადიდებული გეგმა გადაჭარბებით შესრულდა; მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა.

მტკიცედ მიდის წინ სოფლის მეურნეობა. მიმდინარე წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი მეტია, ვიდრე 1948 წელს, და მან გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის მოსავალს. უკეთესია, ვიდრე შარშან, და ომამდელ დონეს აღემატება ბამბის, სელის და სხვა ტექნიკური კულტურების მოსავალი. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახოგადოებრივი მეცხოველეობა.

სახალხო მეურნეობის ზრდის საფუძველზე კიდევ უფრო მაღლდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, რაც მათ აღფრთოვანებს ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ახლა უკვე სავსებით ცხადია, რომ თავისუფალი საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა, მილიონობით სტახანოველის შრომა უზრუნველყოფს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას. ეს კი არამარტო საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების, არამედ აგრეთვე მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრეთა მთელი ბანაკის გაძლიერების მომასწავებელი იქნება.

საბჭოთა სოციალისტური სისტემის დიდი სასიცოცხლო ძალა გამოხატულებას პოულობს აგრეთვე საბჭოთა ქვეყანაში მიღწეული მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესით. იზრდება და წარმოებაში ინერგება ახალ-ახალი ტექნიკა.

ჩვენს ქვეყანაში ამ ტექნიკური პროგრესისა და მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია უმოკლეს ვადაში ატომის ენერგიის საიდუმლოების დაუფლება და ატომურ იარაღზე ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიის მოსპობა.

საკდესის 1949 წლის 25 სექტემბრის ცნობამ, რომ საბჭოთა კავშირი დაეუფლა ატომური იარაღის საიდუმლოებას და თავის განკარგულებაში ჰქონდა ეს იარაღი ჯერ კიდევ 1947 წელს, გააცამტვერა იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეებისა და მათი მონურად მორჩილი ბურჟუაზიული სწავლულების „წინასწარმეტყველება“, რომლებიც არაერთხელ აცხადებდნენ, რომ რუსები ატომური იარაღის დაუფლებას შეძლებენ არა უადრეს 1952 წლისა.

საკდესის ამ ცნობამ დაბნეულობა და შეშფოთება გამოიწვია იმპერიალისტებისა და ომის გამჩაღებლების ბანაკის რიგებში, შეასუსტა ამ ბანაკის ძალები და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ტრუმენ-ჩერჩილის „ატომის დიპლომატიას“, რომელიც თავის ვარაუდს ამყარებდა ატომური ბომბის მონოპოლიურ ფლობაზე და ამ იარაღით შანტაჟს უწევდა სუსტნერვებიან ადამიანებს. ამავე დროს მშვიდობის ყველა მოძრე მხურვალედ მიესალმება როგორც მშვიდობის საქმის გამარჯვებას იმას, რომ საბჭოთა კავშირს აქვს ატომური იარაღი, ვინაიდან მათ იციან, რომ საბჭოთა მთავრობა ერთგულია მშვიდობის თავისი პოლიტიკისა და, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ატომური იარაღი, ატომური იარაღის გამოყენების უთუო აკრძალვას თავის ძველ პოზიციას ადგას.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკა, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის განმტკიცების უდიდესი ფაქტორია. იგი შეესაბამება მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანების საარსებო ინტერესებს, აღაფრთოვანებს და რაზმავს მშვიდობის საქმისათვის ყველა მებრძოლთა რიგებს და აძლიერებს მათს მისწრაფებას გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა გამომდინარეობს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების თვით არსიდან, საზოგადოებისა, სადაც არ არიან ომებით დაინტერესებული კლასები. საბჭოთა სახელმწიფო ეროვნული და რასობრივი ჩაგვრის პოლიტიკის აშკარა მტერია და მისი საგარეო პოლიტიკა ემყარება მსოფლიოს ყველა, დიდი და პატარა ხალხის უფლებებისა და დამოუკიდებლობის პატივისცემას. საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია კომუნიზმის მშენებლობის პათოსით და უშუალოდ დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებით. ჩვენი ხალხი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ საზოგადოების მის მიერ შექმნილი სოციალისტური სისტემა უზრუნველყოფს გამარჯვებას კაპიტალიზმის სისტემასთან მშვიდობიან შეჯიბრებაში.

საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ემყარება სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების თანაარსებობისა და მათ შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობას. ამხანაგმა სტალინმა ეს პოლიტიკა ჯერ კიდევ 1934 წელს მთელი მკაფიობითა და სიცხადით ჩამოაყალიბა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია. ის არის მშვიდობის შენარჩუნებისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკა. სსრ კავშირს აზრად არა აქვს დაემუქროს ვისმე და—მით უმეტეს—თავს დაესხას ვისმე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას და ვიცავთ მშვიდობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვშინია მუქარისა და მზად ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას“.

საბჭოთა მთავრობის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიაზე შეტანილი წინადადებანი მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში, ახალი ომის მზადების დაგმობის შესახებ, ატომური იარაღის უთუო აკრძალვისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღების შესახებ, აგრეთვე მშვიდობის განსამტკიცებლად ხუთი დიდი სახელმწიფოს პაქტის დადების შესახებ,—წარმოადგენენ მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში შეტანილ ძვირფას წვლილს, ომის გამჩაღებელთა ბანაკისადმი ახალ დარტყმას.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალების ზრდასა და განმტკიცებას მოწმობენ აგრეთვე ის დიდი წარმატებანი, რაც მოიპოვეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას.

სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღმავლობა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთში, ალბანეთში, სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულება, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, სახალხო დემოკრატიების შინაგანი ძალების კონსოლიდაცია, გაერთიანებული მარქსისტულ-ლენინური მუშათა პარტიების შექმნა, რომლებიც სოციალიზმისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა შორის მეგობრობის და პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განმტკიცება, სსრ კავშირთან მათი სამეურნეო და კულტურული ურთიერთობის განმტკიცება — ყოველივე ეს წარმოადგენს ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული ბანაკის ძლიერების განმტკიცებისა და მისი ძალების დარაზმვის საერთო საქმეში შეტანილ სერიოზულ წვლილს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული წარმატებანი სხვა ხალხებისათვის წარმოადგენენ იმის თვალსაჩინო მაგალითს, თუ როგორ შეიძლება არ მიმართო იმპერიალიზმთან ყაბალურ გარიგებას, დაეყრდნო საკუთარ ძალებს, საბჭოთა კავშირთან ურთიერთ თანამშრომლობას და მის ძმურ დახმარებას, შეინარჩუნო ეკონომიური და ეროვნული დამოუკიდებლობა, უმოკლეს ვადაში მოიშუშო ომით და ფაშიზმის ბატონობით მოყენებული ჭრილობები, უზრუნველყო მრეწველობის და მეურნეობისა და კულტურის სხვა დარგების ჩქარი წინსვლა.

რაიკ-ბრანკოვის ბუდაპეშტის სასამართლო პროცესზე ტიტოს გამცემლური ხროვის გამოაშკარავება და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კაპიტალიზმის რესტავრაციისაკენ მიმართული მსოფლიო რეაქციის ვერაგული ვარაუდის ჩაშლა მოწმობენ სახალხო-დემოკრატიული რეჟიმების ძალასა და სიმტკიცეს.

შემდეგ, ანტიიმპერიალისტური ძალების ზრდასა და განმტკიცებას მოწმობენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი წარმატებანი კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ჩინელმა ხალხმა, რომელმაც დაამხო გომინდანური რეჟიმი, ეროვნული გამცემლობის, კოლონიური ექსპლოატაციისა და ფეოდალური ჩაგვრის რეჟიმი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა გამანადგურებელ ლახვარს სცემს ამერიკის იმპერიალიზმის დამპყრობლურ გეგმებს, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ჩინეთს გადააქცევდა თავის კოლონიად და ახალი სამხედრო აგრესიის პლაცდარმად. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენს ახალ უდიდეს გარღვევას იმპერიალიზმის სისტემაში, ახალ ფურცელს შლის იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ყველა ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ოჯახში ჩინეთის შესვლა ნიშნავს საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის შემდგომ შეცვლას დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკის სასარგებლოდ, აფართოებს და განამტკიცებს მშვიდობის ფრონტს.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის უდიდეს წარმატებას და იმპერიალისტური ბანაკის ახალ დაძარცხებას წარმოადგენს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა თავის მისალმებაში ვილჰელმ პიკისა და ოტო გროტევოლისადმი დაახასიათა როგორც მობრუნების პუნქტი ევროპის ისტორიაში. ამ ისტორიული ფაქტით გამოხატულებას პოულობს ზრდა და დარაზმვა გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალებისა, რომლებიც იბრძვიან ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის, რომელთაც სწორი დასკვნები გამოყავთ ორი მსოფლიო ომიდან და აღარა სურთ გამოყენებულ იქნან ლანდსკნეხტებად მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტებისათვის.

დემოკრატიული ძალების გამარჯვება გერმანიაში, ძალებისა, რომლებიც თავისი ქვეყნის ბედს საკუთარ ხელში იღებენ, ახალი დამარცხებაა ინგლისელ-ამერიკელი ომის გამჩაღებლებისა. როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, „არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის არსებობა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის არსებობასთან ერთად გამორიცხავს ახალი ომების შესაძლებლობას ევროპაში, ბოლოს უღებს სისხლისღვრას ევროპაში და მეუძლებელს ხდის ევროპის ქვეყნების დამონებას მსოფლიო იმპერიალისტების მიერ“.

დემოკრატიული ბანაკის ძალების ზრდასა და იმპერიალიზმის პოზიციების დასუსტებას მჭევრმეტყველურად მოწმობს აგრეთვე იმ დემოკრატიული და განსაკუთრებით მუშათა მოძრაობის აღმავლობა, რომელსაც ყველგან ვხედავთ და რომელსაც კომუნისტური პარტიები მეთაურობენ. კომუნისტური პარტიების გაძლიერება გაძლიერება მასებში, მიუხედავად მსოფლიო რეაქციის მთელი ბანაკის მიერ კომუნისტების გაფთრებული დევნისა, მუშათა კლასის საგაფიცო მოძრაობის აღმავლობა ევროპის, ამერიკისა და ავსტრალიის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ამის საუკეთესო დამამტკიცებელია.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ძალას, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება, მკაფიოდ მოწმობს მშვიდობის მომხრეთა გაჩაღებული მძლავრი მოძრაობა, რომელმაც უკვე მოიცვა ასობით მილიონი ადამიანი.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად წარმოიშვა მშვიდობის ორგანიზებული ფრონტი, რომელიც მიზნად ისახავს კაცობრიობა იხსნას ახალი მსოფლიო ომისაგან, მოახდინოს ახალი ომის გამჩაღებელთა ბროვის იზოლაცია და უზრუნველყოს ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობა. ეს მოძრაობა ასახავს იმ ძირითად ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოში მოხდა ფაშისტური დამონების საფრთხის წინააღმდეგ ხალხთა განმათავისუფლებელი ომის შედეგად. იგი მოწმობს აგრეთვე მასების პოლიტიკური შეგნების უმაგალითო ზრდას და იმას, რომ ხალხებმა გაკვეთილები გამოიტანეს ორი მსოფლიო ომის მწარე გამოცდილებიდან და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავიდან აიცილონ ახალი ომი, დაიცვან მშვიდობის საქმე, ჩაშალონ ომის გამჩაღებელთა ბოროტი გეგმები.

ხალხები, რომლებმაც უკანასკნელ ათეულ წლებში მკაცრი გამოცდილება მიიღეს, ახლა საკუთარ ხელში იღებენ მშვიდობის დაცვის საქმეს — ეს არის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება.

რაც უნდა მძვინვარებდნენ ომის გამჩაღებლები და მათი ხელშემწყობნი, ისტორიული ვითარება ახლა ძირეულად განსხვავდება იმ ვითარებისაგან, რომელშიც მზადდებოდა პირველი და მეორე მსოფლიო ომი. „ხალხთა ხსოვნაში მეტად ცოცხალია ამასწინანდელი ომის საშინელებანი და მეტად დიდია სიზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას, და ჩერჩილის მოწოფეებს აგრესიის დარგში არ ძალუძთ მათი დაძლევა და ახალი ომისაკენ მიბრუნება“ (ი. სტალინი).

მსოფლიოს გადარჩენა ახალი ომისაგან ახლანდელ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში რეალური შესაძლებლობა და არა უტოპია. თუ ხალხები ფხიზელი, აქტიური და ერთიანი იქნებიან მშვიდობისათვის ბრძოლაში, მშვიდობის საქმის დაცვაში გამოიჩენენ სიმტკიცესა და გამძლეობას, ომის გამჩაღებლები ვერ მოახერხებენ თავიანთი სისხლიანი განზრახვის განხორციელებას — მესამე მსოფლიო ომის ცეცხლის გაღვივებას.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ძალა ის არის, რომ იგი მოიცავს მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციისა და ქალაქის საშუალო ფენების ასობით მილიონ ადამიანს, ოამოუკიდებლად მათი რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, მათი რელიგიური და პოლიტიკური რწმენისა.

შემდეგ, მშვიდობისათვის მოძრაობის ძალა და ძლიერება ის არის, რომ მან ორგანიზებული ხასიათი მიიღო. მშვიდობისათვის მებრძოლნი სულ უფრო ირაზმებიან ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა წარმოიშვა როგორც მასების საპროტესტო მოძრაობა „მარშალის გეგმისა“ და აგრესიული დასავლეთის კავშირისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წინააღმდეგ. მილიონობით ადამიანმა საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში ხმა აღიმაღლა ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, მონაწილეობა მიიღო საპროტესტო გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, მშვიდობის პეტიციებზე ხელმოწერის შეგროვებაში.

მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობის გაჩაღებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა კონგრესს ვროცლავში, ქალთა დემოკრატიული ფედერაციის მსოფლიო კონგრესს ბუდაპეშტში (1948 წლის შემოდგომა) და განსაკუთრებით მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესს პარიზსა და პრაღაში, რომელიც ამა წლის 20-25 აპრილს შედგა და რომელზეც წარმოდგენილი იყო მშვიდობისათვის 600 მილიონი ორგანიზებული მებრძოლი.

მოძრაობა მშვიდობის დაცვისათვის განუწყვეტლივ იზრდებოდა და მტკიცდებოდა. პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესმა, რომელიც მილანში შედგა ივლისის დამდეგს, მოიწონა პარიზის კონგრესის მანიფესტი და შეიმუშავა მოქმედების კონკრეტული პროგრამა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში ორგანიზებული პროფკავშირთა 72 მილიონი წევრისათვის. მთელ რიგ ქვეყნებში შედგა მშვიდობის დაცვის ეროვნული კონგრესები. მთელ დასავლეთ ევროპაში მოხდა მრავალი საპროტესტო გაფიცვა, საყოველთაო-სახალხო დემონსტრაცია და მიტინგი ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ. მრავალ ქვეყანაში შექმნილია მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტები, დაიწყო ასეთი კომიტეტების მოწყობა ქალაქებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში. მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობა ფართოვდება აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში, რომელთა ხალხები სულ უფრო მეტად გრძნობენ იმ დამღუპველი აგრესიული პოლიტიკის სიმძიმეს, რომელსაც მათი მმართველი წრეები ახორციელებენ.

ამრიგად, ამხანაგებო, საერთაშორისო ვითარების მოკლე მიმოხილვა ცხადყოფს, რომ იმპერიალიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიზარდნენ და განმტკიცდნენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები. საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომი ზრდა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური განმტკიცება და ძათი დადგომა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, სახალხო რევოლუციის ისტორიული გამარჯვება ჩინეთში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, კომუნისტური პარტიების განმტკიცება და დემოკრატიული მოძრაობის ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის უდიდესი გაქანება — ყოველივე ეს ნიშნავს ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ბანაკის სერიოზულ გაფართოებასა და განმტკიცებას.

ამავე დროს იმპერიალისტური და ანტიდემოკრატიული ბანაკი ზედიზედ კარგავს პოზიციებს. დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის გამარჯვება, მოახლოებული ეკონომიური კრიზისი, კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაწვავება, ამ სისტემის ყველა საგარეო და სამინაო წინააღმდეგობის გამწვავება მოწმობენ იმპერიალისტური ბანაკის მზარდ დასუსტებას და მთელი კაპიტალისტური სისტემის ისტორიულ განწირულობას.

მწვავდებიან და არ შეიძლება არ მწვავდებოდნენ წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის თვით მსოფლიო რეაქციის ბანაკში, რაც არ უნდა ნიღბავდნენ ამ წინააღმდეგობებს ამ სახელმწიფოების ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური პოლიტიკის ერთიანობით.

„მარშალიზებული“ ქვეყნების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის, ამერიკის იმპერიალიზმის მიერ დასავლეთ ევროპისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების დამონების პოლიტიკის არსებითად კოლონიური ხასიათი, გაფთრებული საკონკურენციო ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის, კოლონიების ექსპლოატაციისათვის, განსაკუთრებით ეკონომიური კრიზისის პირობებში, აორკეცებენ წინააღმდეგობას კაპიტალისტურ ქვეყნებსა და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის.

მწვავდებიან და არ შეიძლება არ მწვავდებოდნენ წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შიგნით. მიუხედავად „ეკონომიური ქარიშხლების ბურჟუაზიულ დამშოშმინებელთა“ მთელი წინასწარმეტყველებისა, გარდუვალად მწიფდება ეკონომიური კრიზისი როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში. მცირდება წარმოება, მცირდება საქონლის ექსპორტი და სამინაო საცალო ვაჭრობა. განუხრელად იზრდება უმუშევრობა, უმუშევართა და ნახევრადუმუშევართა რაოდენობა კაპიტალისტურ ქვეყნებში უკვე აღწევს უზარმაზარ ციფრს — 40 მილიონს! გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით მშრომელებს ეკისრებათ გადასახადთა სულ უფრო მძიმე ტვირთი. წარმოებს ხელფასისა და მუშათა კლასის მთელი საარსებო დონის პროგრესული შემცირება. მეტწილ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩატარებული ვალუტის გაუფასურება წარმოადგენს მშრომელთა ახალ გაძარცვას, ვინაიდან თავისი ისედაც მცირე ხელფასით ახლა მათ შეუძლიათ გაცილებით ნაკლები რაოდენობით იყიდონ მათთვის საჭირო საარსებო საშუალებანი. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა აუტანელი ხდება.

ასეთმა მდგომარეობამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს შინაპოლიტიკური ვითარების გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში, არ შეიძლება არ გამოიწვიოს სერიოზული კლასობრივი ბრძოლა.

ყოველივე ეს ასუსტებს იმპერიალისტური ბანაკის ძალებს, ომის გამჩაღებელთა ძალებს და უფრო დაასუსტებს მათ მომავალში.

უოლ-სტრიტისა და სიტის იმპერიალისტთა ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკა თავის მხრივ აძლიერებს ანტიდემოკრატიული ბანაკის დასუსტებას. ეს პოლიტიკა ზედიზედ განიცდის მარცხს. „ატომის დიპლომატიის“ კრახი, „მარშალის გეგმის“ ჩაშლა, იმპერიალისტთა ძირგამომთხრელი გეგმების ჩაფუშვა სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ამერიკის პოლიტიკის გაკოტრება ჩინეთში — ყოველივე ეს იმპერიალისტთა საგარეო პოლიტიკის მარცხის მხოლოდ ნაწილობრივი ჩამოთვლაა. რა თქმა უნდა, კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობათა გაძლვავება და იმპერიალისტური ბანაკის ძალების დასუსტება თვით კაპიტალიზმის ბუნებაშია ჩამარხული, მაგრამ ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკა აჩქარებს მთელ ამ პროცესს.

III. კომუნისტური და მუშათა პარტიები ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში არიან

ანტიდემოკრატიული, იმპერიალისტური ბანაკის დასუსტების ფაქტიდან არ შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა ომის საფრთხის შესუსტების შესახებ. ასეთი დასკვნა მეტად მცდარი და სახიანო იქნებოდა.

ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ რაც უფრო უიმედოა იმპერიალისტური რეაქციის მდგომარეობა, ძით უფრო მძვინვარებს იგი, ძით უფრო მეტია მისი მხრივ საძხედრო ავანტიურების საფრთხე.

მსოფლიო ასპარეზზე მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის შეცვლა ახალ გაკოფებას იწვევს იმპერიალიზმისა და ომის გამჩაღებელთა ბანაკში. ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ვარაუდობენ ომის გზით შეცვალონ ისტორიული განვითარების მსვლელობა, გადაჭრან თავისი საგარეო და სამინაო წინააღმდეგობანი და სიძნელენი, განამტკიცონ მონოპოლისტური კაპიტალის პოზიციები და ძოიპოვონ მსოფლიო ბატონობა.

იმისათვის, რომ ჩაშალოთ იმპერიალისტური აგრესიის გეგძები, საჭიროა ხალხთა უდიდესი სიფხიზლე, საჭიროა მშვიდობის ფრონტის შემდგომი გაფართოება, მშვიდობის მომხრე მთელი ძალების შემდგომი დარაზმვა და აქტიური ბრძოლა.

ომის საწინააღმდეგოდ გაჩაღებული მოძრაობა მოწმობს ხალხის უაღრესად ფართო მასების მისწრაფებასა და მზადყოფნას დაიცვან მშვიდობა და ნება არ მისცენ აგრესორებს კაცობრიობა გამანადგურებელი ხოცვა-ჟლეტის უფსკრულში ჩააგდონ. ახლა მთელი საქმე ის არის, რომ მასების ეს მისწრაფება გადავაქციოთ აქტიურ კონკრეტულ მოქმედებად, რომელიც მიმართული იქნება ინგლისელ-ამერიკელ ომის გამჩაღებელთა გეგმებისა და ღონისძიებათა ჩაშლისაკენ.

ომის საწინააღმდეგო მოძრაობის მთელი ისტორიული გამოცდილება პირველი და განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის წინ იმას მოწმობს, რომ არ კმარა მშვიდობა გსურდეს, საჭიროა აქტიურად იბრძოლო მისთვის, საჭიროა აამოქმედო მთელი ძალები* და ბერკეტები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ომის მზადებასა და გაჩაღებას.

ახალი ომის გაძლიერებული საფრთხის ვითარებაში კომუნისტურ და მუშათა პარტიებს დიდი ისტორიული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა უნდა გამოიყენონ ბრძოლის ყველა საშუალება მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველსაყოფად, მთელი თავისი საქმიანობა ამჟამად დაუქვემდებარონ ამ ცენტრალურ ამოცანას.

(დასასრული მეოთხე გვერდზე)

* დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 239.

ამხ. მ. სუსლოვის მოხსენების დასასრული

უფრო გულმოდგინედ უნდა ვიმუშაოთ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, ამ მოძრაობაში ჩავაბთ მოსახლეობის სულ ახალ-ახალი ფენები, გადავაქციოთ იგი თანამედროვეობის საყოველთაო-სახალხო და უძლეველ მოძრაობად. ამ მოძრაობას შეუძლია მოიცვას და კიდევაც უნდა მოიცვას ყველა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, თავისი ქვეყნის ღირსება, ეროვნული თავისუფლება და სუვერენიტეტი, დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური რწმენისა, სარწმუნოებრივი შეხედულებისა და პარტიული კუთვნილებისა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში პროფესიული კავშირების, ქალთა, ახალგაზრდობის, კოოპერაციული, სასპორტო, კულტურულ-საგანმანათლებლო, რელიგიური და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე მეცნიერების, მწერლების, ჟურნალისტების, კულტურის მოღვაწეების, საპარლამენტო და სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა ჩაბმას, რომლებიც გამოდიან მშვიდობის დამცველებად, ომის წინააღმდეგ.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის სულ უფრო მეტ აქტიურ მონაწილეობას ამ მოძრაობაში, მისი რიგების შემჭიდროებასა და ერთიანობას. ამიტომ კომუნისტური და მუშათა პარტიების პირველხარისხოვანი ამოცანაა ჩაბაბ მშვიდობის საქმისათვის მებრძოლთა რიგებში მუშათა კლასის უფართოესი ფენები, შექმნან მუშათა კლასის მტკიცე ერთიანობა, გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ მუშათა მოძრაობის მემარჯვენე სოციალისტ გამთიშველთა და დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ, მოაწყონ პროლეტარიატის სხვადასხვა რაზმის ერთობლივი გამოსვლები მშვიდობისა და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საერთო პლატფორმის საფუძველზე.

მუშათა კლასის პროფესიულ კავშირებს უკვე უკავიათ საპატიო ადგილი მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ მებრძოლთა ბანაკში. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია გამოდის როგორც მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის აქტიური მებრძოლი, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მილიონობით მუშათა და მოსამსახურეთა ორგანიზატორი. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში შემავალი პროფკავშირთა ცენტრები დიდ როლს ასრულებენ მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაციაში. ისინი ბევრ ქვეყანაში მშვიდობის მომხრეთა ეროვნული მოძრაობის, მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტების შექმნის ინიციატორები არიან. პროფკავშირებმა წამყვანი ადგილი დაიკავეს აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების წინააღმდეგ საპროტესტო გაფიცვებისა და დემონსტრაციების მოწყობაში, ხალხთა მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად საყოველთაო სახალხო პეტიციებისა და სხვა მასობრივ ღონისძიებათა მოწყობაში.

მაგრამ პროფკავშირებს შეუძლიათ გაცილებით მეტი გააკეთონ, რათა გაშალონ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობის მომხრეთა ბანაკის შემდგომი აქტივიზაციისათვის. ამ დარგში პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ცენტრალური რგოლი შეუძლიათ იყვნენ და კიდევაც უნდა გახდნენ მშვიდობის დაცვის კომიტეტები საწარმო-დაწესებულებებში, რომელთა შექმნისაკენ მოუწოდებენ მშვიდობის მომხრეთა პარიზის კონგრესი და პროფკავშირთა მილანის კონგრესი. ასეთი კომიტეტები უკვე შექმნილია საფრანგეთის, ჰოლანდიის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ბევრ საწარმოში. გაერთიანებენ რა მუშებსა და მოსამსახურეებს მათი ეროვნული, პარტიული და პროფკავშირული კუთვნილების მიუხედავად, მშვიდობის დაცვის კომიტეტები უნდა გახდნენ ცენტრები ბრძოლისა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, კაპიტალიზმის მიერ ექსპლოატირებული ხალხის მასების საარსებო ინტერესთა დასაცავად მშრომელთა ყოვლისმომცველი ერთიანობისათვის.

მრავალი ფაქტი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სახელზე გაგზავნილი პეტიცია ატომური იარაღის აკრძალვისა და დიდ სახელმწიფოთა შეიარაღების შემცირების შესახებ წინადადებათა დასაცავად, რასაც ხელი მოაწერა იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის აღმოსავლეთ ზონის 11 მილიონმა ქალმა, ქალთა ორგანიზაციებისა და ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაციის მონაწილეობა პარიზისა და პრაღის კონგრესებში — ცხადყოფს, თუ რა სერიოზულ ძალას წარმოადგენენ მშვიდობისათვის ბრძოლაში ქალები და ქალთა ორგანიზაციები.

ყველა ქვეყნის დემოკრატიულმა ახალგაზრდობამ მშვიდობისაკენ მისწრაფება და მშვიდობისათვის საბრძოლველად მზადყოფნა ცხადყო მუშა ახალგაზრდობის 1947 წლის ვარშავის მსოფლიო კონფერენციასა და ახალგაზრდობის 1948 და 1949 წლების საერთაშორისო კონგრესებსა და ფესტივალებზე. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 60 მილიონზე მეტ ჭაბუკსა და ქალიშვილს, მშვიდობის საქმისათვის აქტიური მებრძოლია.

მუშათა კლასის, კომუნისტური და მუშათა პარტიების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ ყველა მასობრივ საზოგადოებრივ გაერთიანებათა ბრძოლას მშვიდობის დასაცავად, მისცენ ამ ბრძოლას მიზანსწრაფული, ქმედითი ხასიათი.

მშვიდობისათვის ბრძოლაში მოსახლეობის უფართოესი ფენების გასაერთიანებლად საჭიროა გამოყენებულ იქნას მრავალგვარი ფორმები და საშუალებანი: მასობრივი დემონსტრაციები, მიტინგები, კრებები, პეტიციებისა და პროტესტების შედგენა, მოსახლეობის გამოკითხვა, ქალაქებში და სოფლად მშვიდობის დაცვის კომიტეტების შექმნა, რაც ფართოდაა შემოღებული, მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში.

თავისთავად იგულისხმება, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელების დროს არ შეიძლება ვიმოქმედოთ შაბლონით. საჭიროა მხედველობაში ვიღებდეთ თვითეული ქვეყნის კონკრეტულ პირობებს, უნარიანად შევახამებდეთ მოძრაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს საერთო ამოცანებთან.

არ აქვთ რა დასაყრდენი მასებში, ომის გამჩაღებელნი, როგორც დავინახეთ, თავიანთი ცილისმწამებლური პროპაგანდის ყოველი საშუალებით ცდილობენ მოატყუონ ხალხები. ამასთან დაკავშირებით ომის გამჩაღებელთა პროპაგანდის მხილებას, მათი ანტიხალხური საქმიანობის შესახებ მართალი, ჭეშმარიტი ცნობების გავრცელებას უნდა ეძნეს არა ხანმოკლე კამპანიის ხასიათი, არამედ უნდა წარმოებდეს ყოველდღიურად.

აგრესორთა და მათ დაქირავებულ კალმის ავაზაკთა ყალბსა და კაცთმოძულეობის პროპაგანდას კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა უნდა დაუპირდაპირონ ხალხთა შორის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უფართოესი პროპაგანდა, განუწყვეტლივ ამხილონ აგრესიული ბლოკები და სამხედრო-პოლიტიკური კავშირები. საჭიროა ფართოდ განემარტოს მასებს, რომ ახალი ომი ხალხებს თავს დაატეხს უმძიმეს უბედურებას და უმაგალითო ნგრევას, რომ ომის წინააღმდეგ ბრძოლა და მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა.

მშვიდობის ძალები და, პირველ რიგში, კომუნისტური პარტიები, უნდა ცდილობდნენ, რომ ომის პროპაგანდა, ხალხთა შორის რასობრივი სიძულვილისა და შუღლის პროპაგანდა, რასაც იმპერიალიზმის აგენტები ეწევიან, მკვეთრად დაგმოს მთელმა დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ, რომ ახალი ომის პროვოკატორთა ყოველ გამოსვლას გაეწიოს მტკიცე წინააღმდეგობა, რაც უნდა გამოიხატოს უაღრესად სხვადასხვა ფორმით, მათ შორის იმ კინოფილმების, გაზეთების, წიგნების, ჟურნალების, რადიოკომპანიების, ორგანიზაციებისა და მოღვაწეებისადმი მასობრივი ბოიკოტით, რომლებიც ომს ქადაგებენ.

ახალი ომისათვის მზადება განუყრელადაა დაკავშირებული ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ევროპის ქვეყნების და სხვა კონტინენტების დამონებასთან. მარშალის გეგმა, დასავლეთის კავშირი, ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი — მშვიდობის წინააღმდეგ ავბედითი შეთქმულების ყველა ეს რგოლი იმავე დროს იმ ბორკილის რგოლებია, რომელსაც ოკეანისიქითა მონოპოლისტები სხვა ხალხებს ადებენ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტური და მუშათა პარტიების ვალია — გაერთიანონ ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და ბრძოლა მშვიდობისათვის, განუწყვეტლივ ამხილონ ანტიეროვნული, გამცემლური ხასიათი პოლიტიკისა, რასაც ახორციელებენ ბურჟუაზიული მთავრობები, რომლებიც ამერიკის იმპერიალიზმის პირდაპირ ლაქიებად გადაიქცნენ, გააერთიანონ და დარაზმონ თვითეული ქვეყნის მთელი დემოკრატიული და პატრიოტული ძალები ამერიკის მიერ სამარცხვინო დამონების მოსპობის ლოზუნგების და იმ დამოუკიდებელ საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე გადასვლის ლოზუნგების გარშემო, რომლებიც ხალხთა ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება. კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მაღლა უნდა ეკავოთ ხელში თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის დროშა.

კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ფართო მასები უნდა დარაზმონ დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, განუწყვეტლივ განუმარტონ მათ, რომ მშვიდობის დაცვა განუყრელადაა დაკავშირებული მუშათა კლასის და ყველა მშრომელის სასიცოცხლო ინტერესების დაცვასთან, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა იმავე დროს არის ბრძოლა სიღატაკის, შიმშილისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანები დგას საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების წინაშე. ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ ამ ქვეყნების ხალხები საბარბაზნე ხორცად გამოიყენონ თავიანთი აგრესიული გეგმების განხორციელებისას. კომუნისტური პარტიების მოვალეობაა უფრო მეტი ძალით გააჩაღონ ბრძოლა მშვიდობისათვის, ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა დანაშაულებრივი ზრახვების ჩაფუშვისათვის.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა და მათ ხელისშემწყობთა მხილებასთან ერთად, ეკისრებათ მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომი განმტკიცების ამოცანა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად.

კომუნისტური პარტიების გადაუდებელი ამოცანაა განაგრძონ მემარჯვენე სოციალისტური პარტიების ლიდერთა სრული მხილება. მოვლენათა მსვლელობამ სრულიად დაადასტურა იმ შეფასების სისწორე, რაც კომპარტიების საინფორმაციო ბიუროს პირველმა თათბირმა მისცა მემარჯვენე სოციალისტებს, რომლებიც ასრულებენ იმპერიალიზმის აგენტთა, ახალი ომის გამჩაღებლების ხელისშემწყობთა, ხალხთა ეროვნული ინტერესების მოღალატეთა საზიზღარ როლს და თავიანთ საძაგელ საქმიანობას სოციალისტური ფრაზეოლოგიითა და კოსმოპოლიტური ლაყბობით ჩქმალავენ. ამიტომ კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, რომლებიც დაუღალავად იბრძვიან მშვიდობისათვის, ყოველდღიურად უნდა ამხილონ მემარჯვენე სოციალისტი მეთაურები, როგორც მშვიდობის უბოროტესი მტრები.

ამასთანავე, საჭიროა ყოველმხრივ გაშალოთ და განვამტკიცოთ მშვიდობისათვის ბრძოლაში თანამშრომლობა და მოქმედების ერთიანობა სოციალისტური პარტიების ძირეულ ორგანიზაციებთან და რიგით წევრებთან, მხარი დავუჭიროთ ყველა ნამდვილად პატიოსან ელემენტს ამ პარტიების რიგებში, განვუმარტოთ მათ რეაქციულ მემარჯვენე ხელმძღვანელთა პოლიტიკის დამღუპველობა.

მნიშვნელოვან როლს თავიანთი აგრესიული გეგმების განხორციელებაში, განსაკუთრებით ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ანიჭებენ იუგოსლავიაში ტიტოს ხროვას, რომელიც იმპერიალისტთა ჯაშუშურ სამსახურში იმყოფება. ამიტომ მშვიდობის დაცვის ამოცანა და ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა მოითხოვს შემდგომ მხილებას ამ ხროვისას, რომელიც გადაბარგდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბოროტ მტერთა ბანაკში, იმპერიალიზმისა და ფაშიზმის ბანაკში.

* * *

ამხანაგებო, ფაშიზმის წინააღმდეგ ომის დღეებში კომუნისტური პარტიები დამპყრობლებისადმი საყოველთაო-სახალხო წინააღმდეგობის ავანგარდს წარმოადგენდნენ; ომისშემდგომ პერიოდში კომუნისტური და მუშათა პარტიები თავიანთ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის მოწინავე მებრძოლნი არიან. მათი ხელმძღვანელობით ახალი ომის ყველა მოწინააღმდეგეს, შრომის, მეცნიერების, კულტურის ადამიანებს, რომლებიც მშვიდობის ძლიერ ფრონტად დაირაზმნენ, შეუძლიათ ჩაფუშონ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი ზრახვები.

დემოკრატიის ძალები, მშვიდობის მომხრეთა ძალები ბევრად სჭარბობენ რეაქციის ძალებს. ახლა საქმე ის არის, რომ სულ უფრო განვამტკიცოთ და გავშალოთ მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მოძრაობა, გადავაქციოთ იგი საყოველთაო-სახალხო მოძრაობად, განუწყვეტლივ გავაძლიეროთ ხალხთა სიფხიზლე იმპერიალისტ აგრესორთა ხრიკების მიმართ. საჭიროა ხალხთა მთელი ძალები დავრაზმოთ მშვიდობის აქტიურად დაცვისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამ ამოცანის გადაჭრა იმას ნიშნავს, რომ დანამდვილებით გავიმარჯვოთ მთელი მსოფლიოს ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის წარმოებულ წმიდა ბრძოლაში.

(გაზეთი „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ № 29).

დამთავრდა აზიისა და ოკეანიის ქვეყნების პროფკავშირთა კონფერენცია

პეკინი, 2 დეკემბერი. (საკდესი). დამთავრდა აზიისა და ოკეანიის ქვეყნების პროფკავშირთა კონფერენცია. კონფერენცია დიდ როლს შეასრულებს მუშათა კლასის საარსებო ინტერესებისათვის, მისი დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში აზიის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო წინადადებანი აზიაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის კავშირგაბმულობის ბიუროს შექმნის შესახებ. კენჭისყრის შედეგს მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია კორეის სამხრეთ ნაწილში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის საქმიანობამ კორეის სამხრეთ ნაწილში „გამოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების დარღვევა, კორეელი პროფაშისტი რეაქციონერებისა და იმ ამერიკელი იმპერიალისტების ანტიმუშური და ანტიდემოკრატიული პოზიციების გაძლიერება, რომლებსაც კორეის სამხრეთი ნაწილი უკავიათ“.

კონფერენცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელ ბიუროს სთხოვს აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას პროფკავშირული თავისუფლებისა და კორეელი ხალხის დემოკრატიულ უფლებათა ხელყოფა, რასაც ადგილი ჰქონდა კორეის სამხრეთ ნაწილში.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ ქალთა სრულიად ჩინეთის დემოკრატიული ფედერაციისა და დემოკრატიული ახალგაზრდობის სრულიად ჩინეთის კავშირის დელეგაციები, რის შემდეგაც კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია აზიის ქვეყნების ეროვნული პროფკავშირული ცენტრების ანგარიშების გამო.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სახელით კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა სიმონა ბერტრანი. ინდონეზიის მუშათა წარმომადგენლებმა მქუხარე ოვაციით კონფერენციას გადასცეს დროშა. ჩრდილოეთ კორეის დელეგაციამ კონფერენციას მიართვა ალბომი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისაგან.

კონფერენციამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის მშრომელებისადმი.

კონფერენცია მოუწოდებს ამ ქვეყნების მშრომელებს — მიემხრონ საპროტესტო მოძრაობას იმპერიალისტთა მომქმედების წინააღმდეგ, რათა ბოლო მოეღოს რეაქციულ კოლონიურ ომებს, და ენერგიული და ორგანიზებული მოქმედებით მოაახლოონ აზიის ხალხთა განთავისუფლების ჟამი.

„იმედი გვაქვს, — ნათქვამია მიმართვაში, — რომ თქვენ დაუყოვნებლივ და ერთსულოვნად გამოხვალთ ამ უსამართლო ომების წინააღმდეგ, რომლებიც იმპერიალისტებმა აზიის ქვეყნებში გააჩაღეს. ჩვენ მოგმართავთ მხურვალე მოწოდებით — მოაწყოთ კოლონიური მძარცველური ომების წინააღმდეგ საპროტესტო მასობრივი დემონსტრაციები აზიის ქვეყნებში — იმ ხანძრის კერებში, რომელიც ემუქრება მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

მოგიწოდებთ მტკიცედ მოსთხოვოთ თქვენი ქვეყნების მთავრობებს დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები ვიეტნამიდან, ინდონეზიიდან, მალაიიდან და კორეის სამხრეთ ნაწილიდან.

მხოლოდ მუშათა კლასის მძლავრ ორგანიზებულ მოქმედებას შეუძლია შეაჩეროს რეაქცია და თქვენი ქვეყნების მთავრობებს შეაწყვეტინოს შეიარაღებული ინტერვენცია აზიის ქვეყნებში, აღიარებინოს ამ ქვეყნების ხალხთა დემოკრატიული უფლებანი და თავისუფლებანი“

კონფერენციის მანიფესტის მიმღები კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ლი ლი-სანმა. მანიფესტის პროექტის კითხვას კონფერენციის მონაწილენი არაერთგზის აწყვეტინებდნენ მქუხარე ტაშით.

ცნობას მანიფესტის ერთხმად მიღების შესახებ აუდიტორია ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა.

კონფერენციის დასასრულს საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საიანმა, რომელმაც მიმოხილვა გაუკეთა კონფერენციის მუშაობას.

დარბაზი ფეხზე ადგომით, მქუხარე ტაშითა და „ვაშა!“ შეძახილებით უპასუხებს კონფერენციის თავმჯდომარის ლი ლი-სანის სიტყვებს: „გაუმარჯოს აზიისა და ოკეანიის ქვეყნების პროფკავშირთა კონფერენციის მუშაობის წარმატებით დამთავრებას! გაუმარჯოს აზიისა და ოკეანიის ყველა ჩაგრული ხალხისა და მუშათა კლასის სრულ განთავისუფლებას! გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ჩაგრული ხალხების განთავისუფლებას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! გაუმარჯოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას! გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით! გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასსა და პროგრესულ კაცობრიობას დიდი სტალინის ხელმძღვანელობით!“

კონფერენცია დამთავრდა „ინტერნაციონალის“ მღერით.

ბულგარეთის მშრომელები მოითხოვენ გამცემლებისა და ჯაშუშების—ფრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა მკაცრად დასჯას

სოფია, 3 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ მოწინავე სტატიაში სათაურით „გამცემთა გზა“ წერს:

„30 ნოემბერს გამოქვეყნებულ სამართლებო აქტში მხილებულია საზიზღარი დანაშაულობანი ხალხის მტრების, გამცემლების, ჯაშუშებისა და მავნებლების ჯგუფისა ტრაიჩო კოსტოვის მეთაურობით. სხვა იმპერიალისტ აგენტ-ტიტოელებთან ერთად ისინი ამზადებდნენ ჩვენი ეროვნული და სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოსპობას, სურდათ მოვექციეთ ტიტოს სასტიკ ბატონობაში, მოვეწყვეტეთ ჩვენი დიდი განმათავისუფლებლისა და მფარველის საბჭოთა კავშირისაგან და ჩავეგდეთ იმპერიალისტ მძარცველთა ხელში.

უსაზღვროა მშრომელი ბულგარელი ხალხის აღშფოთება. ყოველ მხარეში მოწყობილ კრებებსა და მიტინგებზე მშრომელები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ტიტოს ხროვიდან გამოსულ დამნაშავეებსა და მათს თანამონაწილეებს, აგრეთვე მათს საერთო სულისჩამდგმელებს იმპერიალისტური ბანაკიდან. საყოველთაო მოთხოვნაა — გამცემლებს დამსახურებისამებრ მიუზღონ“.

სოფია, 3 დეკემბერი. (საკდესი). ტრაიჩო კოსტოვის გამცემლური და ჯაშუშური ბანდის საზიზღარმა დანაშაულმა მთელი მშრომელი ბულგარელი ხალხის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

ბულგარეთის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები ხალხმრავალი მიტინგებისა და კრებების შესახებ, რომლებზეც მშრომელები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ სამშობლოს მოღალატეებსა და იმპერიალიზმის აგენტებს — ტრაიჩო-კოსტოველებს და მადლობას უცხადებენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც შეძლო დროზე ეცნობინა ბანდიტები და სახალხო სამართალში მიეცა ისინი.

პლოვდივში შედგა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც დაესწრო ქალაქის 100 ათასზე მეტი მშრომელი. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, სახალხო ახალგაზრდობის დიმიტროვის კავშირის, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ბულგარეთის კავშირის, სამამულო ფრონტის პროფკავშირული და სხვა მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები თავიანთ გამოსვლებში მოითხოვდნენ, რომ სამშობლოსა და სოციალიზმის საქმის გამცემლებს მკაცრი განაჩენი გამოუტანონ.

საპროტესტო კრებები და მიტინგები მოეწყო ქალაქებში ვარნაში, პლევენში, ვიდინში, სლივენში, ხასკოვოში, აგრეთვე ბულგარეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

ბულგარეთში საბჭოთა ლიტერატურაზე უდიდესი მოთხოვნილებაა

სოფია, 3 დეკემბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ — „პარტიზდატმა“ — თვითი არსებობის ხუთი წლის განმავლობაში გამოსცა 7 მილიონამდე ცალი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, მეტწილად საბჭოთა ავტორებისა.

გამომცემლობის მიერ უკანასკნელ წლებში გამოცემული წიგნებიდან ვ. ი. ლენინის „რჩეული თხზულებანი“ ცხრა ტომად 145 ათასი ცალი ტირაჟით გამოვიდა, ხოლო თხზულებანი „ორი ტაქტიკა“ და „რა ვაკეთოთ?“ ცალკე გამოცემებად გამოვიდა 40-60 ათასი ცალის რაოდენობით.

ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოები—„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გავრცელდა 150 ათასი ცალი. უკვე დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა შვიდი ტომი 100 ათასი ცალი ტირაჟით.

უახლოეს ხანში გამომცემლობა „პარტიზდატი“ დამატებით 80 ათას ცალად გამოუშვებს „ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიას“.

კლასიკოსებისა და საბჭოთა ავტორების მხატვრულ ნაწარმოებთაგან დიდი ტირაჟებით იბეჭდებოდა ცალკე ნაწარმოებნი: მაქსიმ გორკის „დედა“, ილია ერენბურგის „ქარიშხალი“, ნიკოლოზ ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ნ. ბუბენოვის „თეთრი არაესნე“ და სხვ.

საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყველა დარგის რუსული და საბჭოთა ლიტერატურის მოთხოვნილება განსაკუთრებით დიდია. წიგნები ბულგარეთისათვის უჩვეულო დიდი ტირაჟებით იბეჭდება და დიდი სისწრაფით ვრცელდება.

ამერიკელ ჯარისკაცთა უნესოება დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 3 დეკემბერი. (საკდესი). როგორც აღნის სააგენტო იუწყება, ამერიკულ ზონაში უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გახშირდა შემთხვევები უწესობისა, რასაც ამერიკის საოკუპაციო ჯარების ჯარისკაცები სჩადიან.

როგორც სამხრეთ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან იუწყებიან, ქალები და ქალიშვილები საღამოს საათებში ვერ ბედავენ ქალაქის ქუჩებში გამოჩენას. ამერიკის საოკუპაციო ჯარების სამხედრო მოსამსახურენი ხშირად დღისითაც კი ესხმიან თავს სამოქალაქო მოსახლეობას. მოსახლეობისათვის განსაკუთრებით საშიშია მიდამოები ეგრეთ წოდებული სამხრეთ ყაზარმებისა ნიურნბერგში, სადაც ამერიკელთა სამხედრო ნაწილებია განლაგებული. იქ ერთი დღე არ გაივლის ხსენებული ჯარისკაცები თავს არ დაესხან გერმანელ ქალებს.

დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ქალაქების საპოლიციო ინსპექციებმა გერმანელ მოსახლეობას აუკრძალეს ქუჩებში გამოჩენა ღამის და საღამოს საათებში. ეს განსაკუთრებით ეხება ქალებს, რომლებსაც ქუჩებში ყოფნა მხოლოდ მამაკაცების თანხლებით შეუძლიათ.

ამ უწესოებასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მისი მიზეზია ამერიკის ჯარების მზარდი დემორალიზაცია.

სიცილიაზე განახლდა ვულკან ეტნის მოქმედება

რომი, 3 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ 2 დეკემბერს სიცილიაზე განახლდა ვულკან ეტნის მოქმედება. ქალაქ კატანიის ვულკანური ობსერვატორიის ცნობით, ვულკანის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, დაახლოებით 3 ათასი მეტრის სიმაღლეზე გაჩნდა ახალი კრატერები, საიდანაც წამოვიდა ლავა, რომელიც დაბლა ეშვება საათში 70 მეტრის სიჩქარით. ვულკანის მოქმედების დაწყებისას იგრძნობოდა მიწისძვრა. ბიძგები, ამოდიოდა კვამლი და ფერფლი.

3 დეკემბერს დილით ლავის მოძრაობა შეწყდა. ქალაქი კატანია ფერფლით არის დაფარული.

ანსას სააგენტო იუწყება, რომ სამხრეთ კალთაზე მდებარე სოფლების მოსახლეობაში პანიკაა, თუმცა დასახლებულ პუნქტებს პირდაპირი საფრთხე ჯერ არ ემუქრება.

ხმები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის სამხედრო კავშირის შესახებ

პარიზი, 3 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან გადმოგვცემს, გაზეთმა „ზაფერმა“ ცნობა მოათავსა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მაკგისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სადაჯს შორის საუბრის დროს ხელმოწერილ იქნა წინასწარი დოკუმენტები თურქეთსა და შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო კავშირის შესახებ“.

ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებიდან

⊙ მუშაობა დაამთავრეს თბილისის ახალგაზრდა წიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციათა მიერ შეგროვილ მასალებში არის საყურადღებო ცნობები ქართული ცხვრის განვითარების შესახებ. ბიოლოგიურმა განყოფილებამ მიიღო მეევნახეობის საკითხებზე თელავისა და ანსეულის მეევნახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობებში შეგროვილი მასალები. ასევე საინტერესო ხელნაწერი მასალებია ჩამოტანილი ზუგდიდიდან და მესტიიდან.

⊙ ამას წინათ თბილისში დამთავრდა საქართველოს 1949 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე შეჯიბრება სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს სპორტული საზოგადოება „დინამოს“ და არმიის ხელშემწყობი საზოგადოების გუნდებმა და საუკეთესო მსროლელებმა.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა საზოგადოებ „დინამოს“ II გუნდმა.

⊙ თბილისის აბრეშუმსაქმოვნა ფაბრიკამ საბურთალოში დაამთავრა ახალი 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. შენობა, რომელიც ამას წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ, 24-ბინიანია.

საერთო საცხოვრებლები უზრუნველყოფილია ავეჯით. აქვე მოწყობილია დასასვენებელი ოთახი.

ჟურნალისტთა ბაზის მშენებლობა

გორი. (საკ. კორ.). აქ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან სისტემატურად მოდიან ტურისტები დიდი ბელადის სახელთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად. ამიტომ გადაწყდა ქალაქ გორში აიგოს შენობა ტურისტთა ბაზისათვის. უკვე დამთავრდა მშენებლობის პროექტის შედგენა და მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. მშენებლობა დაიწყება მომავალ წელს.

„სამი მეგობარი“

სოხუმის სახელმწიფო თეატრმა მაყურებლებს მორიგ პრემიერად უჩვენა შ. გაბესკირიას ახალი პიესა „სამი მეგობარი“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ლ. ჭედიამ, მხატვრულად გაფორმა ა. ვერულეიშვილმა, მუსიკა დაწერა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ო. თევდორაძემ.

სპექტაკლში როლები შეასრულეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა მ. გაგნიძემ და თ. მაკარაშვილმა, მსახიობებმა ვ. კვეჭაძემ, ს. ჯაშმა, ვ. ნინიძემ, ს. ყანჩელმა, ლ. საყვარელიძემ, ო. კანდელაკმა, ნ. მიქაშავიძემ, ვ. ნეფარიძემ, ს. კალანდაძემ და სხვებმა.

ახალი წიგნები

★ დ. შამათავა, **„ზღვისპირელი ქალიშვილები“**. სახელგამი, 1949 წ., გვერდი 84, ტირაჟი 5.000 ცალი, ფასი 2 მანეთი და 50 კაპ.

★ ხ. შანშიაშვილი, **„იმ